




ხშირად დასმული კითხვები საერთაშორისო დაცვის შესახებ

 ვის აქვს უფლება მიიღოს თავშესაფარი/საერთაშორისო დაცვის სტატუსი?

საბერძნეთის სახელმწიფო იცავს (უზრუნველყოფს თავშესაფრით ლტოლვილის - საერთაშორისო დაცვის სტატუსით) მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც იდევნებიან რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, ან არსებობს სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე მათი წარმოშობის ქვეყანაში ან წინასაცხოვრებელ ქვეყანაში. განსაკუთრებით, თუ მათ ემუქრებათ სიკვდილის განაჩენი ან სიკვდილით დასჯა, წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, ან საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლეს ფიზიკურ ან მორალურ ხელშეუხებლობას საერთაშორისო ან სამოქალაქო კონფლიქტის გამო.


 როგორ მოვითხოვო თავშესაფარი?


საერთაშორისო დაცვა/თავშესაფარი შეგიძლიათ მოითხოვოთ მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრებში ყოფნის დროს. თქვენი მოთხოვნის შემდეგ მიმღები და საიდენტიფიკაციო ცენტრის მომსახურე პერსონალი განცხადების შესატანად გაგაგზავნით თავშესაფრის სამსახურის შესაბამის განყოფილებაში.


ასევე, შეგიძლიათ შეიტანოთ განცხადება ელექტრონულად შემდეგი აპლიკაციის მეშვეობით:


<https://apps.migration.gov.gr/selfregistration/login>





 **უნდა გადავიხადო თუ არა თანხა განცხადების შესატანად?**
არა, საერთაშორისო დაცვის პროცედურები უფასოა და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

 **შემიძლია თუ არა შევიტანო ჩემი მეუღლის და შვილების განცხადება?**
შეგიძლიათ შეიტანოთ თქვენი ოჯახის წევრების განცხადება, თუ მათ აქვთ ამის სურვილი და თქვენთან ერთად იმყოფებიან საბერძნეთში.

 **რის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილი თანამშრომელი მეკუთვნის თუ არა თავშესაფარი?**
უფლებამოსილი თანამშრომელი გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა პირადი გასაუბრების დროს თქვენგან მიღებულ ინფორმაციას და თქვენი პოზიციის გასამყარებლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ასევე, წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებულ ინფორმაციას და თქვენს ადმინისტრაციულ საქმეში არსებულ მონაცემებს.

 **შემიძლია თუ არა ქვეყნიდან გასვლა თავშესაფრის მოთხოვნის შემდეგ გადაწყვეტილების გამოსვლამდე?**
არა, როგორც საერთაშორისო დაცვის მაძიებელს, თქვენ არ გაქვთ საბერძნეთიდან გასვლის უფლება, გარდა სერიოზული ადამიანური ფაქტორებით განპირობებული განსაკუთრებული ვითარებისა (მაგ., ოფიციალურად დადასტურებული ჯანმრთელობის მდგომარეობა), რომელიც თქვენს სხვა ქვეყანაში ყოფნას მოითხოვს. სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოთ თავშესაფრის სამსახურს. თავშესაფრის სამსახურის ინფორმირების გარეშე ქვეყნის დატოვების შემთხვევაში თქვენი განცხადება უარყოფილი იქნება.

 **უნდა მახლდეს თუ არა თარჯიმანი გასაუბრებაზე? რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ინგლისური ენა არ ვიცი?**
თავშესაფრის სამსახური უზრუნველყოფს ნებისმიერი ადმინისტრაციული პროცედურის განხორციელებას თქვენი მშობლიური ან თქვენთვის გასაგები ენის თარჯიმნის დახმარებით.

 **რა გზით უნდა გავიგო რა ეტაპზეა ჩემი საქმის განხილვა?**
უნდა გამოცხადდეთ თავშესაფრის სამსახურში პირადად ან თქვენს მიერ უფლებამოსილი ადვოკატის წარმომადგენლობით. ინფორმაცია პირადი საქმის შესახებ ტელეფონით არ გაიცემა. მომსახურების მსურველთა



ყოველდღიური სიმრავლის გამო უმჯობესია მოზრძანდეთ თქვენი მოწმობის (ΔΑΔΠ - საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა) ვადის ამოწურვის, განახლების დროს და თავშესაფრის სამსახური მოგაწვდით ასევე ინფორმაციას თქვენი საქმის მსვლელობის შესახებ.



შემიძლია თუ არა საბერძნეთში არაკანონიერად/არალეგალურად ყოფნის შემთხვევაში განცხადების შეტანა?

დიახ, ის ფაქტი, რომ არაკანონიერად/არალეგალურად შემოხვედით ქვეყანაში, ხელს არ უშლის თქვენი განცხადების შეტანის და მისი განხილვის პროცედურებს. საკმარისია ქვეყანაში შემოსვლიდან ხანმოკლე დროში წარადგინოთ განაცხადი. თუ საბერძნეთში არაკანონიერად/არალეგალურად ხართ შემოსული, ვალდებული ხართ განთავსდეთ მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრში და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით მიმართოთ ცენტრში მოქმედ თავშესაფრის სამსახურის განყოფილებას.



მე როგორც არასრულწლოვან პირს, მაქვს თუ არა განცხადების შეტანის უფლება?

დიახ. თუ ხართ თხუთმეტ (15) წლამდე ასაკის, განცხადება საერთაშორისო დაცვის თაობაზე უნდა წარადგინოს მშობელმა ან თქვენზე მზრუნველობადაკისრებულმა სრულწლოვანმა პირმა. თუ ხართ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი - უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა. თუ ხართ თხუთმეტ (15) წელს ზემოთ ასაკის, შეგიძლიათ თავად წარადგინოთ თქვენი განცხადება. თუ ხართ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი, სახელმწიფო უწყებები დაგინიშნავენ უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელიც იზრუნებს თქვენს უსაფრთხოებაზე, ასევე არასრულწლოვანთათვის შესაფერის გარემოში განთავსებაზე და დაგეხმარებათ საერთაშორისო დაცვაზე თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით.



შეიძლება თუ არა მახლდეს თან ვინმე, ვინც დამეხმარება ჩემს პირად გასაუბრებაზე?

გასაუბრებაზე შეგიძლიათ გახლდეთ თქვენს მიერ უფლებამოსილი ადვოკატი, ექიმი, სოციალური მუშაკი ან ფსიქოლოგი.



☞ **შემიძლია თუ არა სამედიცინო მომსახურების და ჰოსპიტალიზაციის უფლებებით სარგებლობა ვიდრე ველოდები ჩემი განცხადების გადაწყვეტილებას?**

დიახ. განცხადების შეტანისთანავე, სამედიცინო და ჰოსპიტალური მომსახურებისთვის თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ უცხო ქვეყნის მოქალაქის დაზღვევის და სამედიცინო მომსახურების დროებითი ნომერი (Π.Α.Ι.Π.Α.)

☞ **შემიძლია თუ არა ქვეყნიდან გასვლა თავშესაფრის მიღების შემდგომ (დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში)?**

იმ შემთხვევაში თუ თქვენ მოგენიჭათ ლტოლვილის სტატუსი, შესაბამისი განცხადების საფუძველზე თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ სამგზავრო დოკუმენტი (TDV), თუმცა ამ დოკუმენტით გეზღუდებათ გამგზავრება თქვენი წარმოშობის ქვეყანაში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოგენიჭათ დროებითი დაცვის სტატუსი, შეგიძლიათ, ასევე, შესაბამისი განცხადების საფუძველზე მოითხოვოთ სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც გაცივმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის სამსახური მიიჩნევს რომ შეუძლებელია ეროვნული პასპორტის გაცემა თქვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

☞ **დაცულია თუ არა პირადი გასაუბრების/განცხადების რეგისტრაციის ფარგლებში ჩემს მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება?**

დიახ, ყველა იქ მყოფი ვალდებულია დაიცვას გაუთქმელობის პრინციპი. თავშესაფრის სამსახური არ გასცემს თქვენს განცხადებასთან დაკავშირებულ არანაირ ინფორმაციას თქვენი ქვეყნის სახელმწიფო უწყებებზე, მაგრამ შესაძლოა თქვენი მონაცემები გადაეცეს საბერძნეთის სახელმწიფოს სხვა უწყებებს.

☞ **სად უნდა მოვიძიო თავშესაფრის შესახებ საბერძნეთის კანონმდებლობა?**

საერთაშორისო დაცვის შესახებ კანონები 4686/2020, 4636/2019, 4825/2021 თავშესაფრის სამსახურის ვებგვერდზე ბერძნულ ენაზეა განთავსებული.

☞ **რა განსხვავებაა თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილად აღიარებულ პირთა შორის უფლებების თვალსაზრისით?**

თავშესაფრის მაძიებელი ფლობს საერთაშორისო დაცვის მაძიებელის მოწმობას, რომლითაც მას უფლება აქვს გადაწყვეტილების გამოსვლამდე



იცხოვროს ქვეყანაში ლეგალურად და განახორციელოს მისთვის საჭირო და აუცილებელი პროცედურები. საერთაშორისო დაცვის და ბინადრობის ნებართვის მქონე პირები სარგებლობენ საბერძნეთის მოქალაქეების მსგავსი უფლებებით.



რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ჩემი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა?

გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ უფასოდ მეორე ინსტანციის დამოუკიდებელ სააპელაციო ორგანოს თქვენს გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში. ასევე, ამ ეტაპზე გაქვთ უფლება ისარგებლოთ უფასო იურიდიული დახმარებით. თუ თქვენი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა საბოლოოდ არ დაკმაყოფილდა, აღსრულდება გადაწყვეტილება თქვენს მიერ ქვეყნის დატოვების თაობაზე.



რამდენ ხანს გრძელდება ჩემი განცხადების განხილვის პროცედურა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე?

საერთო ჯამში, თქვენი განაცხადის განხილვა შესაძლოა გაგრძელდეს ოცი (20) დღიდან ექვს (6) თვემდე თითოეული საქმის ინდივიდუალურობის შესაბამისად.